გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 163

2023 წლის 8 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ფ/პ ანი ნასყიდაშვილისთვის (პ/ნ 59501131706), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 20 მარტს შემოსულია ფ/პ ანი ნასყიდაშვილის (პ/ნ 59501131706) განცხადება, რომელშიც იჯარის ფორმით, ქორეოგრაფიული დანიშნულების (ცეკვის სტუდია) მიზნით, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. საქაშეთში, მდებარე, ს/კ 66.43.01.003.016 უძრავი ქონება.
აუდიტური კომპანია შპს „კომპაუდის" 2023 წლის 22 აგვისტოს №274/1-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ვარიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.43.01.003.016 მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან, ნაწილი ფართის - 144.20 კვ.მ (ს/კ 66.43.01.000.353.01.500) უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 73,500.00 (სამოცდაცამეტიათას ხუთასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვარიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (სოფელი საქაშეთი) ს/კ 66.43.01.003.016 მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან (ს/კ 66.43.01.000.353.01.500), ნაწილი ფართის - 144.20 კვ.მ-ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვარიანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (სოფელი საქაშეთი), ს/კ 66.43.01.003.016 მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - დან (ს/კ 66.43.01.000.353.01.500), ნაწილი ფართის - 144.20 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ ანი ნასყიდაშვილს (პ/ნ 59501131706).

2. ს/კ 66.43.01.003.016 მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - დან (ს/კ 66.43.01.000.353.01.500), ნაწილი ფართი - 144.20 კვ.მ - ს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 73,500.00 (სამოცდაცამეტიათას ხუთასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3720 (სამიათას შვიდას ოცი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.

5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).

6. მოიჯარეს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება გადაეცემა ცეკვის სტუდიის მოწყობის მიზნით.

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**